# სოციალური მედიის და ვებგვერდების გამოყენება მუნიციპალიტეტებში ღია მმართველობის და საზოგადოების ჩართულობისთვის

## ქარელის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

**ნიკა ჯუშოშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2022**

# განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად“.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის და კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის გაზიარებისთვის.

# აბსტრაქტი

21- ე საუკუნეში საჯარო მმართველობა, წინა საუკუნეებთან შედარებით ძალიან სწრაფად განიცდის გაციფრულებას და ეტაპობრივად გადადის ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებაზე. სოციალური მედია და ვებგვერდები ელექტრონული მმართველობის განუყოფელი ინსტრუმენტებია, რომლებიც ეხმარებიან საზოგადოებას და ხელისუფლებას მარტივად იურთიერთონ ინტერნეტის გამოყენებით. მიიღონ სერვისები, გასცენ ინფორმაცია, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ღიად განახორციელონ მმართველობა.

საერთაშორისო ორგანიზაციები გაერო და ევროკავში აქტიურად მუშაობენ ელექტრონული მმართველობის მიმართულებით, რადგან გარდა იმისა, რომ ელექტრონული მმათველობა საუკეთესო ინსტრუმენტია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ღიაობისთვის და სახელმწიფო სერვისების სწრაფად მისაწოდებლად. ასევე ძალიან დიდი როლი აქვს ფინასების დაზოგვაში, ნარჩენების შემცირებასა და ბიუროკრატიის შეკვეცაში. შესაბამისად სოციალური მედია და ვებგვერდები არათუ აქტუალობას არ კარგავენ, ყოველდღიურად უფრო აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით მუშაობა.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები ელექტრონული მმართველობის მიმართულებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში ნაკლებად შემიჩნევა. ამიტომ ჩემი კვლევის მთავარი მიზანი იყო დამედგინა თუ რამდენად იყენებენ მუნიციპალიტები, საქართველოში, სოციალურ მედიას და ვებგვერდებს მეტი ჩართულობისა და ღიაობისთვის. კვლევის პროცესში გამოიკვეთა თუ ჩართულობის/მონაწილეობის რა ინსტრუმენტები არსებობს მუნიციპალიტეტებში და როგორ ხდება მათი ვებგვერდებში და სოციალურ მედიაში დაინტეგრირება. ასევე შევაფასე მუნიპალიტების მზაობა ელექტრონული მმართველობის მიმართულებით და ადგილობრივი მოსახლეობის ციფრული ლიტერაცია. კვლევა ჩატარებულია ქარელის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

Abstract

In the 21st century, public administration is rapidly digitizing and is gradually moving towards the active use of e-government tools. Social media and websites are tools of e-government that use the Internet and electronics to transmit information with the Internet. that helps governments to Contagious, provide information, engage different units of service, and openly manage.

International organizations in the UN and the EU propose e-government development because it is the best tool for fighting corruption, openness, and rapid delivery of public services. It also plays a huge role in saving finances, reducing waste and bureaucracy. It is reported that social media and websites are not losing their relevance, moreover, developing in different countries.

Current e-government trends in Georgian municipalities are noticeable. my main goal during research was to determine how municipalities in Georgia use social media, and websites for civil engagement and transparency. The main point of the research was to understand what tools of engagement/participation exist and how are integrated into municipal websites and social media. I also assessed the readiness of the municipalities in e-government and the digital literacy of the local population (Research study on the example of Kareli municipality).